# ოქმი N14

---

**ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მეთოთხმეტე სხდომის**
**23 დეკემბერი 2022 წელი.**

სხდომაზე საკრებულოს 39 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 27-მა (ოცდაშვიდი) წევრმა.
(სია თან ერთვის).

ესწრებოდა: გ. ჯუღელი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;
ვ. ჩინჩალაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;
მ. სუქნიძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი;

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის პასუხისმგებელი პირები, პრესისა და ტელევიზიის მუშაკები.

**სხდომა გახსნა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ – ვახტანგ ღამბაშიძემ.**

მან სხდომას გააცნო დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი.

პირველი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;

მეორე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ;

მესამე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ;

მეოთხე - ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მეხუთე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ;

მეექვსე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიული საჯარო მოხელეების, შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ;

მეშვიდე - საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიღების მიზნით მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა, დღის წესრიგის დასამტკიცებლად.

დამსწრე ყველა დეპუტატის მხარდაჭერით დამტკიცდა დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

**(მომხსენებელი ვ. ჩინჩალაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)**

მომხსენებელმა ვ. ჩინჩალაძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 7 დეკემბრის N22-222234192 (შემ. N12-23223421-23; 07.12.22) მომართვა და „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი.

საკითხზე სხვა დამატებითი შეკითხვები არ დასმულა.

უ. ჩუბინიძემ (საკრებულოს წევრი) აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის წინაშე აქტუალურად დგას უპატრონო ძაღლების პრობლემა. მიუხედავად საკითხის არაერთგზის გააქტიურებისა, იგი ადგილიდან არ იძვრის და მიმაჩნია, რომ ამ კუთხით ქმედითი ღონისძიებების გატარება არის საჭირო.

გ. ჯუღელმა (მერის პირველი მოადგილე) აღნიშნა, რომ უსახლკარო ძაღლების პრობლემა არა მარტო ჩვენი მუნიციპალიტეტის, არამედ უფრო გლობალური პრობლემაა. მისი დარეგულირება სერიოზულ ფინანსებს მოითხოვს. ჩვენ ნამდვილად არ ვართ უმოქმედოდ და აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა უსახლკარო ძაღლების თავშესაფრით უზრუნველყოფის საკითხების მოგვარების მიზნით. ამ კუთხით მუშაობა ყველა მიმართულებით მიმდინარეობს.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

მომხრე: 25.

წინააღმდეგი: 2.

თავი შეიკავა: 0.

საკრებულოს წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერით მიღებული იქნა დადგენილება.

(თან ერთვის).

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

2. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

**(მომხსენებელი ვ. ჩინჩალაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)**

მომხსენებელმა ვ. ჩინჩალაძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 7 დეკემბრის N22-222234192 (შემ. N12-23223421-23; 07.12.22) მომართვა და „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

მომხრე: 25.

წინააღმდეგი: 2.

თავი შეიკავა: 0.

საკრებულოს წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერით მიღებული იქნა განკარგულება.

(თან ერთვის).

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

3. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

**(მომხსენებელი მ. სუქნიძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი)**

მომხსენებელმა მ. სუქნიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 14 დეკემბრის N22-2222348114 (შემ. N12-23223493-23; 14.12.22) მომართვა და „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

დამსწრე ყველა დეპუტატის მხარდაჭერით მიღებული იქნა განკარგულება.

(თან ერთვის).

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

4. ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**(მომხსენებელი ვ. ჩინჩალაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)**

მომხსენებელმა ვ. ჩინჩალაძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 15 დეკემბრის N22-222234944 (შემ. N12-23223495-23; 15.12.22) მომართვა და „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

დამსწრე ყველა დეპუტატის მხარდაჭერით მიღებული იქნა დადგენილება.

(თან ერთვის).

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

5. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ.

**(მომხსენებელი ი. ფუტკარაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)**

მომხსენებელმა ი. ფუტკარაძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე) საკრებულოს წევრებს გააცნო „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ დადგენილების პროექტი.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

მომხრე: 26.

წინააღმდეგი: 1.

თავი შეიკავა: 0.

საკრებულოს წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერით მიღებული იქნა დადგენილება.

(თან ერთვის).

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

6. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიული საჯარო მოხელეების, შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ.

**(მომხსენებელი გ. ჯუღელი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე)**

მომხსენებელმა გ. ჯუღელმა (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 13 დეკემბრის N22-2222347102 (შემ. N12-23223481-23; 13.12.22) მომართვა და „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიული საჯარო მოხელეების, შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

დამსწრე ყველა დეპუტატის მხარდაჭერით მიღებული იქნა დადგენილება.

(თან ერთვის).

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

7. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიღების მიზნით მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე.

**(მომხსენებელი გ. ჯუღელი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე)**

მომხსენებელმა გ. ჯუღელმა (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 22 დეკემბრის N22-2222356111 (შემ. N12-23223571-23; 22.12.22) მომართვა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიღების მიზნით მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე“ განკარგულების პროექტი.

აღნიშნულ საკითხზე გაიმართა მსჯელობა.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) აღნიშნა, რომ სოფელ ქვედა საქარისა და არგვეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის პროექტის 897576 ლარის ღირებულებით განხორციელების აუცილებლობა არ არის სათანადოდ დასაბუთებული და მიზანშეწონილად მიაჩნია იგი ამოღებული იქნას წარმოდგენილი პროექტებიდან.

აღნიშნულ წინადადებას დაეთანხმა საკრებულოს წევრების უმრავლესობა და ასევე წარმოდგენილ კომპრომისულ წინადადებაზე თანხმობა გამოთქვა მომხსენებელმა.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა. კენჭისყრაზე დასმული იქნა კომპრომისული წინადადება, სოფელ ქვედა საქარისა და არგვეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის პროექტის გარეშე.

მომხრე: 27.

წინააღმდეგი: 0.

თავი შეიკავა: 0.

საკრებულოს წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერით მიღებული იქნა განკარგულება.

(თან ერთვის).

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**ზესტაფონის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **ვახტანგ ღამბაშიძე**

**ოქმი შეადგინა:**
**საკრებულოს აპარატის სპეციალისტი:** **რ. გველესიანი**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 23 დეკემბრის სხდომაზე
დამსწრე დეპუტატთა
ს ი ა

1. ვახტანგ ღამბაშიძე
2. გიორგი კაკოიშვილი
3. ირმა გიორგაძე
4. მამუკა მოდებაძე
5. ბადრი წაქაძე
6. ანგი ბოჭორიშვილი
7. კახაბერ გოქაძე
8. ილია ფუტკარაძე
9. თემური მაღლაკელიძე
10. ნუგზარ ფერაძე
11. რობერტი მახათაძე
12. მაია ჩხეიძე
13. დავით მიქაბერიძე
14. მამუკა კურტანიძე
15. ირაკლი კვეტენაძე
16. ჯემალ ჯუღელი
17. ვლადიმერ კამლაძე
18. რამაზი ფერაძე
19. ნანა ფერაძე
20. მანანა ცქიტიშვილი
21. ელისო ბოგვერაძე
22. მარეხი ქათამაძე
23. უჩა ჩუბინიძე
24. ზურაბ ყანჩაველი
25. პაატა ნასრაძე
26. ლევან ჭანტურიძე
27. მაია კახნიაშვილი

აპარატის უფროსი დავით ბარბაქაძე

**ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**2022 წლის 23 დეკემბრის სხდომის**

**სარჩევი**

**1**. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

**2.** ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

**3**. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

4. ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ’’ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

5. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ

6. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიული საჯარო მოხელეების, შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

7. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიღების მიზნით მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე.

**აპარატის უფროსი** **დავით ბარბაქაძე**

# ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
# 2022 წლის   23 დეკემბრის სხდომის

## დღის წესრიგი

დასაწ: 11:00 სთ.

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

**(მომხსენებელი ვ. ჩინჩალაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)**

2. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

**(მომხსენებელი ვ. ჩინჩალაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)**

3. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

**(მომხსენებელი მ. სუქნიძე - სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი)**

4. ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**(მომხსენებელი ვ. ჩინჩალაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)**

5. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ

**(მომხსენებელი ი. ფუტკარაძე -  საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)**

6. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიული საჯარო მოხელეების, შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

**(მომხსენებელი გ. ჯუღელი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი მოადგილე)**

7. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს  რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან  ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიღების მიზნით მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე.

**(მომხსენებელი გ. ჯუღელი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე)**

აპარატის უფროსი დავით ბარბაქაძე